სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/167

ქ. თბილისი

19 ნოემბერი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 8 ნოემბრის საბჭოს სხდომის №10 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ნოემბრის №01-05-02/32 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირების სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   - **1.1.** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,ლოგისტიკა“;
   - **1.2.** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“;
   - **1.3.** მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ,,ლოგისტიკა“;
   - **1.4.** დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიურისაბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**